

572
1988

ԿՐԻՄ



ლადო მრულაშვილი

შეშოღოვა

შემობრძანდა შეშოღომა
 დასუნძლული ვენახებით,
 მინდვრებო და ტყე-ჭაღებო,
 რა ლამაზად მენახვებით.
 სიო ფოთლებს სიძინდისას
 ისე ნაზად აშრიალებს,
 შემშურდება ბაღში ხეებს —
 ხეებს, ლამაზ თავძლიანებს.
 ნეტავ საით მიიჩქარის
 მოლიკლიკე ნაკადული —
 ზაფხულიდან ბაღ-ბოსტნებში
 მიმოფანტულ-დაკარგული.
 როგორ სუნთქავს არემარე,
 რა სიუხვით, რა ბარაქით;
 დროა, ხილის მთა-გორებო,
 სრდაფეებში დაბანაკდით.
 ხარბად ნთქავენ საწინასღებში
 მტკვნებს — ქარვის „კიჭიანებს“,
 კარო, კარო მარნისაო,
 უფრო მკვრად იჭრიალე!
 უფრო მკვრად დაიბურტყე,
 უფრო უხვად, ცაო, კალთა,
 რომ კვლავ იყო ზირნათელი
 საქართველოს მოძავულთან.

მხატვარი ნანა ჭურღულია





ენო ბუარაშვილი

მშენა

მხატვარი ელზარ ამოკაძე

შემოდგომაზე მშენას მამამ დიდი ხალხა აიღო, კაკალზე ავიდა და ტოტებს პარტყაპურტყი აუტეხა. ხრიალით ჩამოდიოდა ძირს კაკალი და მოზიბინებულ ბალახებს ხვინჭასავით ეყრებოდა. ბერტყვის ხმა რომ გაიგონეს უბნის გოგობიჭებმა, სადაც თამაშობდნენ, იქვე მიყარეს სათამაშოები და მიცვივდნენ. ამტვრევდნენ კაკალს, პირს იქაფებდნენ ახალი, გემრიელი ნივთით, თანაც მშენასა და ბებიას აკრეფას შველოდნენ, კალათებს ავსებდნენ, ეზოში ერთ ადგილას აგროვებდნენ.

მეორე დილას იმ გროვასთან მშენას ბებია ჩამოჭდა. დიდ, ბრტყელ ქვაზე ლენჯოიან კაკალს დადებდა, ზედ პატარა მრგვალ ქვას დაარტყამდა და კროცი კაკალი უშალ გარეთ გამოხტებოდა. ასე დაკროცა ბებია კაკალი და აივანზე აიტანა გასაშრობად. მერე რამდენიმე მუჭა ლენჯო წვრილად დააქუცმაცა, პლასტმასის ტაშტში ჩაყარა, ზედ წყალი დაახსა, ეზოში დადგა და შიგ ახლად დაქსოვილი თეთ-

რი, ქათქათა წინდები ჩააწყო. თან ჯოხით მოურია, რომ ყველა წინდა ერთნაირად დასველებულიყო.

— ეს რა ჰქენი, ბებო, რად ჩაყარე წინდები ამ ქუტყუიან წყალში? — შეეკითხა ბებიას გაოცებული მშენა.

— არა, შვილო, ეს ქუტყუიანი წყალი არ არის, ლენჯოს საღებავია, მზე გაათბობს, ლენჯოდან წვენი გარეთ გამოვა და წინდები შეიღებება.

მართლაც დილით მზე მეზობლის მაღალ სახლს რომ გადმოსცდებოდა, პირდაპირ ტაშტში ჩაიხედავდა, და სანამ გადიწვერებოდა, ათბობდა.

მშენა წამდაუწყებლად ჩაცუცქდებოდა ტაშტთან, საღებავში თითხ ჩაყოფდა, თბილია თუ არაო, ჯოხითაც მოურევდა და ეზოში მოფუსფუსე ბებიას გასძახებდა:

— ბებია, არ ეყოფა? უკვე შეიღება წინდები, ამოვიღოთ?

— ჭერ კიდევ იყოს, შვილო, რა გეჩქარება, კარგად გაუჭდეს საღებავი. ერთხელ კი მშენამ ხვეწნით უთხრა

ბებიას:

— ბები, მოდი, მეც მოვქსოვ წინდებს და ამ საღებავში ჩავაწყობ, ერთი როგორი გამოვა!

— ქსოვა რომ არ იცი, შვილო?

— როგორ არ ვიცი, შენ რომ ქსოვდი წინდებს, მაშინ ხომ მასწავლე?!

— კარგი, მოქსოვე, თუ გაგიძნელდება, აქ არა ვარ, ქა, მოგეშველები. — დათანხმდა ბებია და ერთი პატარა თეთრი ბაწრის გორგალი და საქსოვი ჩხირები მისცა. აუხსნა კიდეც, როგორ უნდა დაეწყო, ქუსლის მოდგმაც ასწავლა, ყელის მოქსოვა კი გოგონამაც იცოდა ცოტათი.

მშენონა ერთ ორ-სამ დღეს ქსოვდა; ზოგი ბებიას მიხმარებით, ზოგიც თავისი ცოდნით მართლა მოქსოვა პატარა, კოხტა წინდები და ისიც საღებავში ჩააწყო...

კიდეც კარგა ხანს იდგა ტაშტი მზეზე. თბილ წყალში ჩაბუთბუთებული ლენჯოდან ნელ-ნელა იწურებოდა წვენი და წინდებიც იღებებოდა. მერე ბებიამ ტაშტი საჩხვში შეიტანა, წინდები ამოწურა, სუ-

ფთა წყალში ალაღალა. სანამ წყალი მთლად არ დაუწმინდავა, თავი არ გაანება.

საღებავში ადრე ჩადებული წინდები ყავისფრად შეღებილიყო, მუქად. მშენონას მოქსოვილ წინდებს კი ბაცი ფერი ჰქონდა, მაგრამ ბებიას მაინც ძალიან მოეწონა: „პატარებისთვის ეს ფერი სჯობიაო“.

მშენონა ზედ დაჰხაროდა თავის მოქსოვილ წინდებს; ხან შორს დაბეჭერდა, ისე გახედავდა, ხან ახლოდან უყურებდა, ხან კიდეც ჩაიცმევდა და ფეხებზე იყურებოდა. მაგრამ ბებიას მოქსოვილი წინდები რომ შეათვალიერა, გული შეეცვალა. ის სულ სხვა იყო: ამძივული, თანასწორი და ლამაზი. თვითონ ცოტა აჩხაბაჩხად მოექსოვა, ზოგან თვალი ჩავარდნოდა, ზოგან ზედმეტად ჩაექსოვა ბაწარი, იმიტომ თავისი ნაქსოვი აღარ ექაშნიკებოდა. თუმცა გულს მაინც არ იტეხდა, სჯეროდა — მეორედ და მესამედ რომ მოქსოვდა, თვალი აღარ ჩაუვარდებოდა, აღარც ზედმეტად ჩააქსოვდა სადმე და მისი ნაქსოვიც ლამაზი იქნებოდა, ძალიან ლამაზი.



მზეს სხივი ჩაუღვანეთია

ალგაუჯა იოზოლავილი

ჩამაქრდა ეურმნის მტევანი,
მზისა და თაფლის ფერია,
ზაწაწა გოგო-ბიჭები
ცნობთვალა მზეს უმდერან.
ეურმნის თვითეულ მარცვალში
სიცოცხლის თითო წვეთია,
ეოველ წვეთში კი დალოცვილ
მზეს სხივი ჩაუღვანეთია.

ნობათი

გიორგი ვარათელი

ნობათია მორთმეული
დიდი ხის თუ ზატარა ხის,
თაფს იწონებს იქით რხიი,
აქეთ კიდევ — კვაწარანს...
რა მურანა, რა სიღოფა,
რა კვერები, რა ტელანები, —
გამოფინეს მართლა ბევრი
ბოთლებით თუ მათლაფებით.
აქ მაჭარი, იქ ბადავი
დუღს უცეცხლოდ, წვით და დაკვით...
რის ზატარა, რა ზატარა, —
დიდი ქვებით დგას თათარა.
შივ სტებიან აცმულები,
ამოდიან ჩაცმულები...
უნარია მწიფობელას,
მის დიდ ნაშრომს რომ შევდიბით,
ტელანებია მოფენილი
შემოდგომის დროშებივით.

მხატვარი ნანა ჭარალუია



დედამ საპურედან მრგვალი პური ამოიღო და პაპას გაუწოდა.

— მშვენიერია. მე რომ მიყვარს, ზუსტად ისეთია — დაჭორფლილი!

მამა ჩუმად უსმენდა მათ საუბარს და ელიმებოდა.

— ჩამილაგე, შვილო, საგზალი, შენ რომ იცი, ისე კოხტად ჩააწყვე და წყალიც ჩადგი მათარით, დილაადრიან ტყეში მივდივარ, — პაპამ პური ხელში აიღო და შეატრიალა, — თქვენ ამ პურს ეგრე ნუ უყურებთ, ობისაგან პენიცილინს ღებულბენ, იცით? მე და ჩემი ძმები სულ ობიანი პურითა ვართ დაზრდილები, მაგრამ, აბა, მოვიდნენ და შეგვეჭიბრონ აზიზ-მაზიზები... ჰაი დედასა!.. ობიანი პურის ზღაპარს მთვარიდან იწყებდა ხოლმე ცხოვებული დედაჩემი.

ზღაპრის ხსენებაზე მე და ელამ ყურები ვცქვიტეთ, პაპამ განდობილად შემოგვხედა და თვალი ჩაგვიკრა, ამათ რა იციან ზღაპრის გემო, — უფროსებზე გვანიშნა.

მთვარის დედა თურმე მკლავდაკაპიწებულნი იდგა დიდ ვარცლთან და ცომს ზელავდა. მთვარე პატარა ყოფილა მაშინ, შეუხედავს ცომიანი ვარცლისათვის და ატირებულა, — სანამ ეგ მოიზილოს, მერე გაღვივდეს, მერე გუნდებად ამოვიდეს, თონეში ჩაიკრას, მშიერი რა გამაძლებინებსო. მანამდე მაგ პურის ნატეხს გადააყოლე გული, წინ რომ გიდევსო, ეხლა ეგ დაგანაყრებს, სანამ ცხელ პურს ამოვყრიდე თონიდანო. რად მინდა ობიანიო, — გაჭირვეულბებულა მთვარე, ფხეები გაუფშეკია, გადაფიჩინებულა. დედა მოთმინებიდან გამოსულა და ცომიანი ხელი ლოყაში შემოურტყამს შვილისათვის. მას შემდეგ კი გაზრდილა, დაჭკვიანებულა მთვარე, მაგრამ სამუდამოდ დამჩნევია დედის შემოკრული ცომიანი ხელი...

იმ დროს ომი იყო, ჯერ ფქვილის შოვანა ჭირდა და მერე — პურის გამოცხობა. იშოვიდი რის ვაი-ვაგლახით სიმინდის ან ქერის ფქვილს და ახლა იმის ფქვირი იყავი, რითი გამოგეცხო. ვინმე რომ თონეს გაახურებდა, ყველა მასთან მიდიოდა, ნახურები თონეა, ფიჩხი ნაკლები დასჭირდებო, — იქ აცხობდნენ. თონის ერთი გახურებიდან მეორემდე პური ფაშრდებოდა, ოხს იკიდებდა. ობიან პურს თუ ჭამ, ფულს იპოვიო, გვარიგებდნენ უფროსები. მახსოვს, ერთხელ, კიღობნიდან ობით დაჭორფლილი პურები ამოლაგა დედამ. მე და ჩემმა ძმებმა ამრეშით შევხედეთ, არ გვინდა ობიანი პურიო, გავჭიუტდით. დედამ მზრუნველი თვლით შემოგვხედა, გავიცინა და გვკითხა: — მაშ ვისაც ჭორფლიანი შვილები ჰყავს, თქვენის აზრით, ადგება და გადააჭყრის? ან იმის დედა როგორ მოიქცევა, პელოსთან რომ თბილისელი გოგოა ჩამოსული... ჭორფლიანი თუა, წაუღღეს ვინმე წინა!

პელი დედა ჩვენი მეზობელი იყო, მასთან ხშირად სტუმრობდა ხოლმე ის გოგო, მაშინ ქალაქში ცხოვრება ჭირდა და





ლოყაზე გვაკოცა.

— ახლა რაღას იტყვით, ჩემო გვრიტი-
ბო, ხომ ღირს მაგ პურის წაღება, თუნდაც
მხოლოდ იმისათვის, ის ლამაზი დრო —
ჩემი პატარაობა რომ გამახსენა? — გვკით-
ხა და წამოღდა.

— ვინ იყო ის გოგო, პაპილო, რა ერქ-
ვა, აღარ გახსოვს? — სახელოზე ჩამოე-
კონწიალა ელა.

— ახლა სად არის, ცოცხალია თუ
არა? — აღარც მე მეთმობოდა პაპა, წინ
გადავუღეკი.

— გოგო სამუდამოდ დამამახსოვრდა
და სურათიც შემომჩრა მისი, მაგრამ ასე
უცებ ვერ მოვძებნი, ხვალამდე უნდა მად-
როვოთ, — გვითხრა. გულდაწყვეტილები
დასაძინებლად გავეშურეთ. დილით რომ
გავიღვიძე და ჩავიცვი, უწინ ელა დავინა-
ხე, უძრავად იდგა მაგიდასთან, რალაცაზე
იყო დაფიქრებული. — დათო, მოდი, რა
გაჩვენო! — თავი არ აუღია, ისე გამომ-
ძახა.

სოფელს ეტანებოდა ხალხი. მათი სახლის
წინ, შემოუღობავ ეზოში, ძველი ურემი
ეგდო, გამოვიდოდა წაბლისფერთმიანი თე-
თრი გოგო, ურმის კოფოზე ჩამოსკუბდე-
ბოდა, თან ობიანი პურის ყუას ჩაებჩავ-
და ამძივული ნემსა კბილებით, თან შიშ-
ველ ფეხებს ასხმარტალებდა და გამოგ-
ვძახოდა, სიმღერასავით აგრძელებდა: —
თეთრი ფული ვიპოვე!.. თეთრი ფული ვი-
პოვე!.. — და მართლაც მუჭი სულ თეთრი
აბაზიანებით ჰქონდა სავსე. გამოვფინე-
ბოლით ორღობეში მე და ჩემი ფეხშიშვე-
ლა და შარვალშემოგლეჩილი ძმები, ვუს-
მენდით ამ გოგოს და გვიკვირდა, ამდენ
ფულს როგორ პოულობსო. მერე შინ მივ-
ბრუნდებოდით და მადიანად ვილუკებო-
დით, ძალიან გემრიელი გვეჩვენებოდა
ობიანი პური... თუ დაიჭერებთ, ზოგჯერ
მართლა ვპოულობდით სურდა ფულს. ან
დაუჭერებელი რა არის... თურმე ის გოგო
განგებ აბნევდა აბაზიანებს...

მაგიდაზე ბროლის საყვავილე იდგა და
იქიდან წითელი მიხაკები ყელუყელობ-
დნენ. ჭერ მეგონა, ამისათვის დამიძახა-
მეთქი, მაგრამ მერე მივხვდი: საყვავილე-
ზე გოგონას სურათი იყო მიყუდებული,
ლამაზთვალემა ჭორფლიანი თეთრი გოგო
იყო, რალაცით ჰგავდა ელას, მასავით წაბ-
ლისფერი თმა ჰქონდა — უკან გადავარც-
ხნილი და თეთრი ბაბთით შეკრული.

— ბებოა, თქვენი ბებო, ვერ იცანით?
— ჩაილაპარაკა ჩვენს ზურგს უკან დედამ.
დიდხანს თვალი ვეღარ მოვწყვიტეთ გო-
გონას სურათს, რომელიც ომის დროიდან
გვიშერდა, იმ დროიდან, როცა ბავშვებს
ძალიან უჭირდათ. მერე გონს მოვეგეთ და
პაპა მოვიკითხეთ. შინ აღარ ჩანდა, დილა-
დამიან სამუშაოზე წასულიყო.

ვიდექით და მოუთმენლად ველოდით
რძის მოსატანად წასული ბებოს გამოჩე-
ნას, მანამდე კი მის ბავშვობისდროინდელ
სურათს ვესიყვარულებოდით.

პაპამ თხრობა დაამთავრა, მე და ელას
ხელები მოგვხვია, ჩვენს შუა ჩაიმუხლა და



ჩხუბი იწყება

ამას ჰქვია წერი,
ამას კიდეუ — ნეკი,
ჰოდა, აი, მუშტიც:
გამასწარი, ჯეკი!



ინგლისური ხალხური კოეზიდიან

ხუთი ციხვი

ფუღუროში ერთხელ იჯდა ხუთი ციევი,
წირველმა თქვა: აგე, გზასე მოდის ბრევი!
მეორემ თქვა: მაგ ბრევეს მოაქვს დიდი თოფიც!
მესამემ თქვა: მაგ ბრევეს, მოდი, ნუ ვენდობით!
მეოთხემ თქვა: მაშინ გავძვით იმ შთის მიდმა!
მესუთემ თქვა: დავრჩეთ, რა უნდა ჰქნას ბრევემა!
ბაც!!!
ისეუზა ერთმა, უკან ოთხი მიჰვეა!

თარგმნა პიორკი ნიუნინიკა



მხატვარი ლალი ლომთაძე

პატარა მერი

(ინგლისური ხალხური ზღაპარი)

იყო ერთი ღატაკი გოგონა, პატარა მერის ეძახდნენ. სულ იმას ნატრობდა, ერთი მეწყველი ძროხა მომცა, მეგვარებოდა და თვალის-ჩინივით მოეუკლიდით.

ერთმა ლორდმა ყური მოჰკრა მის ნატვრას და უთხრა:

— წადი, მერი, სახლში, აუცილებლად აგოსრულდება სურვილი.

პატარა მერი შინისაკენ გაიქცა და სახლში მართლაც დახვდა წაბლისფერი, ღამაში, ხალევიანი ძროხა.

მეორე დღეს ლორდმა პატარა მერის ქოხს ჩაუტრა.

— ხომ კმაყოფილი ხარ? — ჰკითხა გოგონას.

— კმაყოფილი ვარ, მაგრამ...

— მაგრამ... რა? — ჩაეკითხა ლორდი.

— არაფერი, მაგრამ... იცით რა... ერთი პატარა სახლი რომ მქონოდა, რა ბედნიერი ვიქნებოდი!..

— კეთილი. აგისრულებ მაგ ნატვრას. — თქვა ლორდმა და იმ დღესვე აჩუქა პატარა მერის პატარა სახლი.

— ახლა თუ ხარ ბედნიერიო, — დაეკითხა მეორე დღეს.



— როგორ არა, მაგრამ...

— რა მაგრამ, რა?

— არაფერი... ოღონდ ძალიან მინდა ჩემს მეზობელ ქალებს რომ აცვიათ, ისეთი ღამაში კაბა მქონდეს. თ, როგორ ვიცეკვებდი მაშინ!

— წადი, მერი, სახლში და იქ დაგზვდება, რაც ინატრე.

მართლაც სახლში მისულ მერის ისეთი ღამაში კაბა დახვდა, რომ თვალი ზედ დარჩა. ჩაიცვა და დაიშოვნა.

კიდევ ერთი დღე გავიდა და ისევ შეხვდა მერის ლორდი, ხომ კმაყოფილი ხარო? — ჰკითხა.

— დიან, მილორდ, მაგრამ...

— კიდევ «მაგრამ»? რა ხდება, მერი?

— იცით, მართალია, ყველაფერი მაქვს, რაც ვინატრე, მაგრამ... მარტოლა მკლავს...

მინდა გავთხოვდე. — თავი ჩალუნა პატარა მერიმ.

— კეთილი, მე ერთ ახალგაზრდას შეგავხვედრებ... და სულ მალე მისი ცოლი გახდები.

— რამდენიმე დღეში მერი ქალაქის თავის მეუღლე გახდა. ქორწინებიდან ცოტა ხნის გასვლის შემდეგ, ლორდი შეხვდა მას.

— პატარა მერი, ახლა ხომ ბედნიერი ხარ? — ბედნიერიო? რა თქმა უნდა, მაგრამ პატარა მერის ნუ დამიძახებთ, მე გახლავართ ლედი მერი, ქალაქის თავის მეუღლე.



ლილა სტვილია

ჩვენი კინტილატორი

აი, მე და ლილია
დაურჩით სხსლში მარტონი
და დღეს მთელი ოჯახის
ჩვენ ვართ ბატონ-პატრონი.
რომ ჩამოცხა, ოთახში
ჩაერთეთ კინტილატორი,
თვითონ კონდიციონერს
არ დაუდო მან ტოლი,
ფრთები დაფათქუნა,
სიცხეს დაჭრა ცხრა ტორი:
— ვისაც შენ შეეურები,
სულთამსუთავს კადარებს...
გასწი, ჩქარა, აქედან,
ნუ მიისცხავ პატარებს!
სიცხემ ჩაიხთითთა:

— რით ან ვისით დიდგულბ?
მე კედელზე მიბმული,
დაბმული ხარ, დაბმული,
როგორ უნდა იბრუნო?
ჰოდა... კინტილატორმა
აქ ისმარა სხვა ფანდი,
ქარი დატრიალა
ანახული იბრუნა
იტრიალა, იბრუნა
სიძღურით და ღაღადით,
დააუენა უირაზე
გახეთი და ქაღალდი.
... გაქრა სიცხე და სხელი
მართლა ისე გუბრილდა,
რომ პატარებს ესოში
ჩასვლა სულაც არ გვიინდა...



მათგოგელა გუნარი

რომ ვივანსმემე,
დავიბან...
ძილა, სანამ მეწვევი,
სანამ ბუბო დეწვევა,
მის ლოკინში მე ვწვები.
ლოკინს ვუთბობ ბუბიას,
რაც ეს თოვლ-ეინვევია...
— რაც ლილია ჩემთან წევს,
სითბო არ მომკლებია, —
იტვეის ბუბო... და გვიან
წვევა, გულში მისუტებს
როგორც ჩიტი მის ბარტეებს,
როგორც ფისო — მის კნუტებს.
მისხრია ბუბოსთან,
ბუბიასაც უხარის...
მე ვარ ბუბოს ლოკინის
მათბებელა ბუნარი.

სარუქარი დედასათვის

ჰარღალი ჰარღლოდა,
 ჰარღალი ჰარღლოდა,
 წადს ხარშავდა ბებო დათვი,
 შვილიშვილებს დაჰნაროდა:
 — ბარბალობა, ბარბალობა,
 ჩემი მჭადის ვარგვალობა,
 ჩემი ბეჩოს ასღრება
 შუშითა და ნაქურჩელით,
 ზრდა, ჯანი და კარგად უოუნა
 ჩემი თოთო დათუნების.



ტაპი, ტაპი!

ტაპი, ტაპი, ტაპი,
 გაუხდი დიდი ბუჭვი,
 მდინარეში დამბანეთ,
 არ ვეტყვი ტაპტაპი.

შემოდგომის ჩვეულებრივი კვირადღე იდგა და თენგი გვიანობამდე ნებივრობდა საწოლში, ოთახში მამა შემოვიდა.

— ხვალ დედა ჩამოდის სოფლიდან, ხელცარიელები დავხვდეთ?

თენგი საწოლში წამოჯდა, ქეჩო მოიქეჯა:

— ჩვენ თუ სადმე ვართ წასულები, დედოკო ყოველთვის ტორტით გვხვდება ხოლმე, შენ — ალუბლის, მე — მარწყვის ტორტით...

— მოდი, ჩვენ ნიგვზიანი ტორტი გამოვუცხოთ, ყველაზე უფრო ეგ უყვარს.

— კი მაგრამ, გამოცნობა რომ არ ვიცით?

— ეგ არაფერი, საკულინარიო წიგნი აგერ არა გვაქვს!

თენგი ადგა და მამასთან ერთად სამზარეულოში გავიდა.

— აუჰ, რამდენი რამე სდომებია?! — ამოიხორა წიგნს ჩაჩერებულმა.

— ახლა წვალემა თქვი, გაცერიო... ადღვიბეო... დაფქვიო, გააფორმეო... მაგის შემძლე ვართ ჩვენ?

თენგიმ დონიჯი შემოიდგა, — უნდა შევძლოთ, — დაბეჯითებით თქვა, — დედოკოს რა, არ უჭირს?

მამამ ხის საკიდზე ჩამოკონწიალებული ჭრელი წინსაფარი ჩამოსხნა და რის ვაი-ვაგლახით შემოიკრა ვეებერთელა მუცელზე. თენგოს სიცილი აუტყდა.

— მაგ ხითხითს გიჯობს, გაიქცე და რძე მოიტანო კრემისათვის.

თენგიმ ბადურას წამოავლო ხელი და კიბებზე თავქუდმოგლეჯილი დაეშვა.

— ამ დროს რძეს სად იშოვი, შვილო? — გაიკვირვა გამყიდველმა — დილით უნდა მოსულიყავი.



ვი შპრიცი მოიძიეს, წამოსაცმელიც გაუკეთეს და კრემიც ჩაასხეს, მაგრამ ღვუში არა და არ ემორჩილებოდა მამას, ბოლოს თენგომ ვეღარ მოითმინა, გამოსტაცა და ორივე ხელით მთელი ძალით დააწვა.

უცებ „ჭყუპ-ო“, და კრემით ერთიანად სახემოთხუპნული მამა უკან გადახტა.

— მამიკო, მამაკტიე, უნებურად, — ლულულუღებდა შემცბარი თენგო.

მამა კი გულიანად ხითხითებდა, საჩვენებელი თითით ლოყიდან კრემს იშორებდა და ლოკავდა. — იფ... იფ... რა გემრიელია! — ამბობდა აღტაცებული. — რაც არი, არი, — თქვა ბოლოს, აბა, ახლა ერთი ღამაში ბარათი ამოიღე უჭრიდან და იმით მოვრთოთ ეს ჩვენი ტორტი. თენგომ ღია ბარათი მონახა და ზედ გულმოდგინედ ჩამოაგვირისტა ორი სიტყვა:

„ჩვენს დედიკოს!“

ბიჭს ხასიათი წაუხდა: — რაღა ვქნა, ხვალ დედაჩემი ჩამოდის, და მე და მამას ტორტის გამოცხობა გვინდოდა.

— კარგი, კარგი, — დაუყვავა გამყიდველმა, ცხვირი ნუ ჩამოუშვი, მოგცემერთ ბოთლს, ჩემთვის მქონდა გადანახული.

როცა თენგო სახლში მიბრუნდა, მამა უკვე გაჭქურაში დგამდა ტორტის ფორმას.

— სადა ხარ ამდენი ხანი? — უსაყვედურა, — უშენოდ ვერც ცილა ავთქვიფე და ვერც სოდა მოვნახე, ნამდვილად ჩავვივარდებდა ცოში.

კრემი ძალიან კარგი გამოუვიდათ და ხასიათი გამოუკეთდათ.


თენგომ ნიგვზის გატარება დაიწყო, ამასობაში ბისკვიტი გამოცხვა, გასაგრილებლად გადმოდგეს და ცოტა ხანში ნიგოზი მოაყარეს. ახლა ტორტის მოსართა-



რას ჩურჩულავენ ხველი ფოთლები

პიპი ჭიჭინაჰა

— რა სიმშვიდე!
 ნუთუ კვლავ მოთოვს...
 ეჩურჩულება
 ფოთოლი ფოთოლს,
 თან ხის ტოტიდან
 ხვეში ჩაცვენილ
 ოქროსფერ ფოთლებს
 ხვანუთი ჩასცქერის:
 — ძაღვ ქარი ჩვენს
 ცისკენ ავკაფურენს.
 ერთხელ ფრთებს გაშლით,
 როგორც ჩიტები.
 მერე, რომ ხელავ
 ნემომძალას ხევს,
 ფარფატ-ფარფატი
 იქ ჩავცვივლებით.
 მუ, დია, ასე
 იცი, რად ვდარდობ?
 მუსხა ვერ გამლეს
 უჩვენოდ, მარტო... —
 ფოთოლმა ფოთოლს
 უთხრა: — ნუ წუხარ,
 ამ ტოტს, ძვირფასო,
 თუძცა მოვწყვლებით,
 რა ვუყოთ მერე,
 ჩვენი ბურმუსა
 კვლავ იპრიანებს
 სულ სხვა ფოთლებით.



მურიია

ლოლო გვიზიანი


გამარჯობა, მურიია!
 მომამწოდე თათი!
 ორჯერ ორი ოთხია,
 ორჯერ სუთი — ათი.
 კარგად დამახსოვრე,
 კარგად მიგდე უური,
 გელოდება საუსმედ
 დაბრუნული ზური.
 აბა, გავიმეოროთ,
 მომამწოდე თათი,
 ორჯერ ორი ოთხია,
 ორჯერ სუთი — ათი!

იპარჯიშუ, რომ კუნთები გაიმაგრო, ნაკოდნა!

1. ჩაიმუხლე, მერე ქუსლებს ხელები ჩასჭიდე და დააჭეცი, მუცელი გამობერე და წელში გაიღუნე. რა მსუქანი ხარ!

ახლა მუცელი შესწიე. როგორ ფიცარივით გაბრტყელდი! რა გამხდარი ხარ!

ახლა შენი ნებაა: გასუქდი!.. გახდი!.. კიდევ! კიდევ! თუ გინდა, შენს დასთან ან ძმასთან, ან ამხანაგთან ერთად ითამაშე — შენ გასუქდი, ის გახდეს! ახლა პირიქით.




2. სმენა იყოს და გაგონება! ცალი ხელით რამეს დაეყრდენი და ნელ-ნელა მალლა ასწიე ჭერ ერთი ფეხი, მერე — მეორე. როცა ფეხს სწორად გაიშვერ წინ, ისევ ჩამოსწიე. ტერფი გამართული უნდა გქონდეს. თვითონაც გამართული უნდა იდგე და თავისუფლად. აბა, ხან ერთი ფეხი, ხან — მეორე!




3. ჩაიმუხლე, ქუსლებს დააჭეცი და ხელები ისე ასწიე, თითქოს უკანა თათებზე დამდგარი ლეკვი იყო. ახლა ლეკვი კუდს უქიციანებს პატრონს — სწრაფად წაშოიწიე ქუსლებიდან და მერე ისევ ჩააჭეცი. მოგბეზრდა კუდის ქიციანი და პატრონის თვალეში ყურება? მორჩი თამაშს.



4. ახლა დაწოლილმა ველოსიპედით ვაისეირნე. მუხლები მოხარე, მერე მორიგეობით ხან ერთი ფეხი გამართე, ხან მეორე, ვითომ ველოსიპედის პედლებს ატრიალებ. აბა, გააქროლე!



5. გულალმა დაწეკი და ორივე ფეხი შეტყუებულად მალლა ასწიე, ფეხის გულებზე მსუბუქი განტეხი ან რაიმე სათამაშო დაიდევი. ეცადე, ფეხი არ ჩამოგვიარდეს. მუხლები გამართე და ხელები თავქვეშ ამოიდეს. თუ სხვა ბავშვებიც ითამაშებენ, შეეჯიბრეთ ერთმანეთს, — ვინ უფრო მეტხანს მოახერხებს, შეინარჩუნოს ფეხებზე სიმძიმე.





ბაბო. ჭაჭიაშვილი.

ეს სახელი უცნობია „დილის“ მკითხველებისათვის, თუმცა თავის დროზე ბაბო ჭაჭიაშვილმა ჩვენს ჟურნალსაც დასდო ამავი.

მანამდე ის 20-იანი წლების საბჭოთა საქართველოს ერთ-ერთი კომკავშირელი აქტივისტი იყო, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, რომლებსაც აწვდიდა მასალებს კომკავშირეთა საქმიანობაზე; მასწავლებლობდა, ერთხანს ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა და თავისი მოკრძალებული ფულილი შეიტანა დიდ მუშაობაში, რომელიც გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა ავაკი შანიძემ გასწავა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური

გამოცემის აღდგენისათვის.

1935 წლის სექტემბერში 28 წლის ბაბო ჭაჭიაშვილი ჟურნალ „ოქტომბრელის“ რედაქტორად დანიშნეს (ხომ გახსოვთ, რომ „ოქტომბრელი“ ჩვენს „დილას“ ერქვა 1928 წლიდან 1947 წლამდე) მაგრამ სულ ორი წელი იმუშავა მან აქ — 1937 წელს უღიანიშაულოდ დააპატიმრეს მისი მეუღლე და სულ მალე თვითონ ბაბო ჭაჭიაშვილიც. შვიდი წელი იყო ის გადასახლებაში, განთავისუფლების შემდეგ კი, პენსიაში გასვლამდე, მასწავლებლად მუშაობდა.

დღეს ბაბო ჭაჭიაშვილი შეიღებსა და შვილიშვილებში ხარობს და ცდილობს მხოლოდ ის გაიხსენოს, რაც სასიხარულო მოსაგონარი აქვს. ერთი ასეთი მვირფასი მოგონებაა მისთვის პატარე-

ბის ჟურნალის ხელმძღვანელობა. ახსენდება პაოლო იაშვილის „მედვას ლევი“; იოსებ გრიშაშვილის „მუსტაფას ვირი“, რომლით ქორქიას „მარილის აკვანში“, რომლებიც პირველად მის „ოქტომბრელში“ დაიბეჭდა; ახსენდება თანამშრომლობა კვატერინე გაბაშვილთან და ნინო ნავაშიძესთან, ილია სიხარულიძესთან და მარიჯანთან, გიორგი ქუჩიშვილთან და ნიკო კვცხიველთან და ქართული საბავშვო ლიტერატურის მაშინ უკვე აღიარებულ სხვა ოსტატებთან თუ ჩინებულ ახალგაზრდებთან, რომელთა სახელებიც დღეს ჩვენი სიამაყვა — მაყვალა მრეველიშვილთან, ირაკლი აბაშიძესთან... ახლა ვთავაზობთ ერთ არაკეს, რომელიც 1936 წლის №1 „ოქტომბრელში“ დაიბეჭდა:



სანდრო შანშიაშვილი

ხარბი ქაჭა

მატყარი ეღუარდ აგოკაპი

ღამით პატარა თაგუნია ანთებულ სანთელს იპარავდა. კატამ გაიგონა თაგუნას წრიპინი. მალეა აიხედა. სანთლის ახლოს ნაშვდილი თაგუნა პატარად ჩანდა, ხოლო კედელზე — მოშორებით — მისი ღანდი დიდად.

კატამ იფიქრა: — აქ ერთი დიდი, მორე პატარა. მოდი, დიდს დავიჭერო! — და კედელს ისკუპა. უნდოდა დიდი, მსუქანი თაგვი დაეჭირა, მაგრამ ის ღანდი აღმოჩნდა.


კატამ კედელს შეახალა თავი, ძალიან გამწარდა, მაგრამ მაინც ასე იწუგემა: — თუ დავიჭერდი, სჯობდა ის დიდი თაგვი დამეჭირა, თორემ პატარა ჩემ ჯილდოდ არ ღირდა!

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ახლა კიდევ ერთი მასალა — თავსატეხი გასართობი ბაბო ჭაჭიაშვილის დროინდელი „ოქტობრელიდან“.



24 ასანთისაგან შედგენილია ასეთი ფიგურა. გამოაცალეთ მას 8 ცალი ასანთი ისე, რომ მიიღოთ ორი ერთნაირი, ერთმანეთისაგან დაშორებული ფიგურა.



ქსოვა



მოქსოვეთ: მარჯვენა ჩხირი შეიფვანეთ თვალში მარცხენა მხრიდან, მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით წამოსდეთ ძაფს და იმავე თვალში უკან გამოიტანეთ. სურ. № 2. გამოქსოვილი თვალი გადაიტანეთ მარჯვენა ჩხირზე. ეს იქნება ზევიდან წალმით გამოქსოვა. 2. მარჯვენა ჩხირი შეიტანეთ გამოსაქსოვ თვალში ისე, რომ მარცხენა ჩხირი ზევით დარჩეს, ჩხირის მარჯვნიდან მარცხნივ მოძრაობით წამოსდეთ ძაფს და უკან გამოიტანეთ. სურ. № 3. ასე ქსოვეთ ყველა თვალი. ორივე მხარეს წალმით ნაქსოვს შალისებური ნაქსოვი პეკია.

თვლების გამოქსოვა

(მე-2 ბაკნითილი)

ლილი ზურაბაშვილი

ქსოვის დროს ძაფის გორგალი დაიდეთ მარცხენა მხარეს. ძაფის ხმარება შეიძლება ორნაირად: 1. გორგლიდან მომავალი ძაფი გაატარეთ მარცხენა ხელის შუა და საჩვენებელ თითებს შორის, გადაიდეთ საჩვენებელ თითზე და თითი ჩხირს დაადეთ. 2. გორგლიდან მომავალი ძაფი გაატარეთ არათითსა და ნეკს შორის, წამოიღეთ ხელისგულისაკენ, ამოატარეთ შუა თითსა და საჩვენებელ თითს შორის და გადაიდეთ საჩვენებელ თითზე. თითი ჩხირიდან ცოტა მოშორებით დაიჭირეთ; ზედ ბევრი ძაფი არ დაიხვით. სურ. № 1. თვლები იქსოვება წალმით და უკუღმით. წალმით ქსოვა ორნაირად შეიძლება: 1. მარჯვენა ჩხირით პირველი თვალი მოუქსოვლად გადაიტანეთ (ამ თვალს უწოდებენ ნაპირის ან ნაწიბურის თვალს), მორთე თვალი კი აი ასე



ერკვესი კვლევა



წიკე

სამართლებლეს ალკკ ცვ-ისა
და ვ. ი. ლპინის სახელობის
პიონერთა ორბანისაციის
რესპუბლიკური საბჭოს შურ-
ნალი უმცროსკლასელიათი-
ვის.

გამოდის 1904 წლიდან
საქ. კვ ცვ-ის გამოცემლობა.

შთავარი რედაქტორი
პეპურ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეჯია: მუზარდ ამო-
ქაძე, მანანა ანთაძე, ლეონიდა ბაგა-
საძე, გიორგიბერიძე, მერი ლავითა-
შვილი, ლეონიდა პრედი, გელა ლოსა-
პერიძე, გიორგი მრეველიშვილი,
ჯურსხანიანი, გიორგი როინიშვი-
ლი (სამხატვრო რედაქტორი), თინათინ
ნალაური (პ/შე, მდიანი), გიორგი ნი-
შაძე, გიორგი ანთაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ინელი წიკეიშვილი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,
სტამბის – თბილისი, ლენინის 14. ტელ.:
შთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15;
პ/შე, მდიანის 93-10-32, 93-98-18; სახმ.
რედაქტორის – 93-98-18; განყოფილება-
ბის 93-98-19.

გადაცვა ასაწუბად 17.08.88 წ., ხელმო-
წერილია დასაბჭად 23.09.88წ., ქალაქ-
ლის ზომა 60x90¹/₈, ფიხ. ნაბ. ფურც-
2,5, ტირაჟი 168.000, შეკვეთა №2040


ვლახე ნახატი
სოფიო
კინწარაშვილისა

«Дилас» («Стрех») ежемесечный жур-
нал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского
Республиканского Совета Всесоюзной
пионерской организации им. В. И.
Ленина для младшеклассников, на гру-
зинском языке.

Отпечатано в типографии издатель-
ства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нишарадзе
(тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж
168.000. Заказ №2040

თ ა ვ ს ა ზ ბ ე ხ ნ



ცარიელი უჯრები შეავსეთ ქართული სურათშიაღვრების
ძეგლთა სახელებით ისე, რომ ფერად სვეტში მთლიან სიტ-
ევა „შეგობრობა“.

დაფიქსონით!

შუაოს 100 დანომრილი რგოლი მავიდაზე ერთ რიგად,
თანამიმდევრულად აწევა. შევიძლიათ გადახადგილოთ
ეს რგოლები, ოღონდ თითოს გამოშვებით. ე. ი. დასაშვე-
ბია ადგილები შეუცვალთ რგოლებს, რომელთა ნომრებია
1 და 3, ან 10 და 12, ან 51 და 53, და სხვა; და დაშუებელია
გადახანცვლოთ 1 და 4, ან 10 და 15, ან 67 და 70, და ა. შ.
როგორ გგონიათ, შეიძლება თუ არა გადახანცვლების
გარეკული რიცხვის შემდეგ პირველ ადგილზე აღმოჩნდეს
რგოლი, რომლის ნომერია 100? დასაბუთოთ თქვენი ზასუ-
ხი.

**„ქიქის“
სამაგროვნებო
ქუჩაში**



ლევან მუსხი — 7 წლისა.



გვანა იოსელიანი — 6 წლისა.



საგო ჯავახიშვილი — 5 წლისა.